ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი (ბათუმის მასწავლებლის სახლი) აცხადებს **საჯარო სკოლის** ფიზიკის მასწავლებელთა კონკურსს ქ. ჟენევაში (შვეიცარია) მდებარე ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN - Organisation Européenne pour la Recherche Nucléaire) ერთკვირიან სტაჟირებაზე გასაგზავნად.

კონკურსის შედეგად შეირჩევა ფიზიკის 3 პედაგოგი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საჯარო სკოლებიდან. მათი სტაჟირების სრული დაფინანსება განხორციელდება ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის (ბათუმის მასწავლებლის სახლი) მიერ.

- ✓ **კონკურსის პირობები:**

კონკურსში მონაწილე:

1. უნდა იყოს მოქმედი **უფროსი/წამყვანი/მენტორი** მასწავლებელი, **ან პრაქტიკოსი** მასწავლებელი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ფიზიკის მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გამოცდა;
2. კანდიდატი უნდა ასწავლიდეს **საჯარო სკოლაში;**
3. სტაჟირების პროგრამის ფარგლებში პედაგოგი **არ უნდა იყოს ნამყოფი** ზემოხსენებულ კვლევით ცენტრში.

- ✓ **წარსადგენი დოკუმენტაცია:**

1. CV ქართულ ენაზე
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. ჩატარებული გაკვეთილის გეგმა აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებით ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე (word-ის დოკუმენტი, არაუმეტეს სამი გვერდი, A4 ფორმატი , Sylfaen 11 შრიფტით, ხაზებს შორის დაშორება 1,5)
4. ჩატარებული გაკვეთილი Power Point პრეზენტაციის სახით (8-10 სლაიდი/ თხრობის ხანგრძლივობა 10 წუთი)
5. მასწავლებელის სქემაში სტატუსის (**უფროსი/წამყვანი/მენტორი)** დამადასტურებელი დოკუმენტი; ხოლო პრაქტიკოსი მასწავლებლის შემთხვევაში, აგრეთვე უნდა წარმოადგინოს ფიზიკის მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენციის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი
6. ცნობა სამუშაო ადგილიდან ფიზიკის მასწავლებლობის შესახებ *(ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმებული)*

- ✓ **ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია უნდა წარადგინოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ajaraedufund@gmail.com**

- ✓ **დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადაა 2019 წლის 1 თებერვალი (18.00 სთ)**

შენიშვნა: *1. არასრული ინფორმაციის შემცველი განაცხადები არ განიხილება!*

2. ვადების დარღვევით შემოსული განაცხადი არ განიხილება!!! (დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადა - 2019 წლის 1 თებერვალი, 18.00 სთ)

- ✓ **კონკურსის ეტაპები:**

კანდიდატების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად:

I ეტაპი: დოკუმენტაციის ელექტრონულად მიღება/გადარჩევა

II ეტაპი: კომისიასთან გასაუბრება, გაკვეთილის წარდგენა/პრეზენტაცია და მისი განხილვა

- ✓ **ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი:**

ლალი ლომთათიძე
დირექტორის მოადგილე
ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი
საკონტაქტო ტელეფონი: 599 94 04 66
მისამართი: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა #121
ელ-ფოსტა: ajaraedufund@gmail.com